



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

„მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო
საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო
აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი 3-5 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2020 წლის 4 მაისი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861961
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	090101 დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (N149) 03.07.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ივანა ობორნა, მედიცინის დოქტორი, დოქტორი; დამოუკიდებელი კონსულტანტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ია ფანცულაია, დოქტორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქ-ნ ელენა ხურციძე. სტუდენტი ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
- პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა) წარმოადგენს კერძო თვითმმართველ სასწავლო უნივერსიტეტს, რომელიც დაარსდა 1992 წელს ქართველი პედიატრი-ქირურგის, პროფესორ პეტრე შოთაძის მიერ. თსა მდებარეობს თბილისში ქეთევან წამებულის 51/2-ში, საკუთარ ტერიტორიაზე.
- ამჟამად თსა ახორციელებს ორ პროგრამას, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინფორმაცია ორივე პროგრამის შესახებ მოვიპოვეთ ვებ-გვერდიდან, თსა-ის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან, ასევე ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრებების დროს.
- ინგლისურენოვან მედიცინის პროგრამას ამჟამად 533 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ყავს. კურიკულუმს გააჩნია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრირაციის მახასიათებლები. სილაბუსები ძალიან კომპლექსურია და მოიცავს ყველა ტიპის ინფორმაციას, მათ შორის, კურსის დასახელებას, სკოლას, ავტორს (ებს), კრედიტების მოცულობას, წინაპირობებს, მიზანს, ამოცანებს, სწავლების მეთოდებს, პედაგოგიურ პერსონალს, შეფასების სისტემას, სასწავლო ლიტერატურას, კურსის ფორმატს და სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში მომზადებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების მიხედვით. ასევე მოწოდებული იყო CV-ები, თუმცა, ზოგიერთი მათგანი თსა-სთან მკაფიო აფილირების გარეშე. სახეზეა ბიუჯეტი, ბოლო 5 წლის ფინანსური დინამიკა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები (2019-2021). ინგლისურენოვან მედიცინის პროგრამაზე არსებული სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისთვის არსებობს გეგმა, რომლის გათვალისწინებით საბოლოო რიცხვი მიაღწევს წელიწადში 200 სტუდენტს მედიცინის ორივე პროგრამაზე. ასევე დაგეგმილია ახალი სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ განხორციელება, რომელიც დაიწყება 2020 წლის სექტემბრიდან, წელიწადში დაახლოებით 20 სტუდენტის მიღებით, და სადოქტორო პროგრამა "სამედიცინო მეცნიერებები"-2021 წლის გაზაფხულზე. ორივე პროგრამა ინგლისურენოვანია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი დაიწყო 2020 წლის 3 მარტის დღის მეორე ნახევარში, უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებით და გასაუბრებით. ადგილზე ვიზიტი გაგრძელდა 4 და 5 მარტს. კოვიდ-19-ის ინფექციის გავრცელების საშიშროების მიზეზით, კლინიკური დაწესებულებების ადგილზე შესწავლა არ შედგა. ვიზიტი დაგეგმილი იყო 4 მარტის დილიდან სწავლების პროცესზე დაკვირვების მიზნით. მთავრობის გადაწყვეტილებით სკოლების დროებით გაუქმების გამო, ჯგუფმა მოინახულა სხვა ძირითადი ობიექტები, მათ შორის ანატომიის, კლინიკური უნარების ცენტრი, ვირტუალური სწავლების ლაბორატორია და შესაძლებლობა ჰქონდა გასაუბრებოდა ადგილზე მყოფ პერსონალს. მოგვიანებით, ექსპერტთა ჯგუფმა გააგრძელა ვიზიტი 4 მარტის შუადღიდან 5 მარტის ჩათვლით და გაესაუბრა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) კომიტეტს, ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების აფილირებულ და მოწვეულაკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს (სკაიპის საშუალებით), თანამშრომლებს, თსა-ს მენეჯმენტს და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს. ბოლო გასაუბრებები ჩატარდა 2020 წლის 5 მარტს ნაშუადღევს, რასაც შემდგომ მოჰყვა ექსპერტთა ჯგუფის თათბირი, სადაც ექსპერტებმა განიხილეს და საბოლოოდ შეთანხმდნენ შეფასებაზე, თუ რა დონეზე შეესაბამება დიპლომირებული მედიკოსის

ახალი პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებსა და მათ კომპონენტებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ჯგუფის დასკვნების შესახებ მოკლე მიმოხილვა წარუდგინა თსა-ს მენეჯმენტსა და დამსწრე პერსონალს. დაწესებულების დამოკიდებულება იყო ღია, პატივისცემით აღსავსე, თანამშრომლური და პროფესიული. ექსპერტთა ჯგუფს ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- მედიცინის პროგრამა შეფასდა ექვ-ს უმაღლესი განათლების სტანდარტებისა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. ასევე, მხედველობაში იქნა მიღებული სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა (WFME) და ზოგადი სამედიცინო განათლების (BME) სტანდარტები.
- თსა-ს გააჩნია სტაბილური ბაზა დინამიურად განვითარებადი სამომავლო პერსპექტივით. აკადემიური პერსონალი, თსა-ს მენეჯმენტი და სტუდენტები ორიენტირებული არიან მაღალი დონის პროფესიონალიზმის მისაღწევად. თსა-ს მთავარი ძლიერი მხარეა ენთუზიაზმით სავსე და მაღალ-კვალიფიციური მენეჯმენტი, ძალიან კვალიფიციური, მაგრამ მცირე რაოდენობის აკადემიური პერსონალი და კარგი პრე-კლინიკური ბაზა. მართალია, გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი (იხილეთ ქვემოთ), თუმცა თსა-ს კარგი შესაძლებლობა აქვს წარმატებით გამოასწოროს ხსენებული ხარვეზები.
- პროგრამა სრულ შესაბამისობაშია პირველ, მესამე და მეხუთე სტანდარტთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია მეორე და მეოთხე სტანდარტთან.

▪ **რეკომენდაციები**

- ხელახლა გადახედეთ სტუდენტების რაოდენობის გეგმის გაზრდას არადასაქმებული სტუდენტების მაჩვენებლებთან და არაკვალიფიკაციით დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან მიმართებით. გაითვალისწინეთ ბაზრის კვლევის ანალიზი.
- სტუდენტების სწავლება უნდა განხორციელდეს შესაბამის კლინიკურ გარემოში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სათანადო რაოდენობის პერსონალით რელევანტური კომპეტენციების შესაძენად.
- სწავლებისათვის ხელმისაწვდომი პაციენტების რაოდენობა და კლინიკური პრობლემების ნაირსახეობა, უნდა იყოს ადეკვატური სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ მოიპოვონ ყველა საჭირო კლინიკური გამოცდილება, სწავლების მიზნებისთვის პაციენტების გადამეტებული ან ხანგრძლივი გამოყენების გარეშე.
- გაზარდეთ ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით.
- ჯგუფების მოცულობა და სტუდენტების და ლექტორების თანაფარდობა თითოეული სწავლების მეთოდისათვის უნდა ეფუძნებოდეს არსებულ წესებს.
- მხოლოდ ის სამეცნიერო ნაშრომების უნდა იყოს მიღებული მხედველობაში რომელიც შესრულებულია დაწესებულების სახელით და მის ფარგლებში
- გაითვალისწინეთ კავშირი პერსონალის რაოდენობას და დატვირთვასა და სტუდენტების რაოდენობას შორის. შეაფასეთ კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა. გაითვალისწინეთ კლინიკური სწავლების ხარისხი და შეაფასეთ კლინიკური საგნები სტუდენტების რაოდენობის, ლექტორების და შესაფერისი პაციენტების მიხედვით, რომლებიც ჩართულნი არიან კლინიკურ აქტივობებში და მეცადინეობებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- შეადგინეთ სპირალური კურიკულუმის შემდგომი 6 წლისთვის დეტალური რუქა შეფასებითურთ, ან სტუდენტისა და ფაკულტეტის ურთიერთგაგების კონსტრუქციული შესაბამისობის გაუმჯობესებაში დახმარების მიზნით.
- შეფასება სტანდარტულია, მაგრამ ზოგიერთი საგნისთვის მათზე მორგებული შეფასება უფრო რელევანტური იქნებოდა.
- გაითვალისწინეთ საბოლოო ვადის განსაზღვრა მიღების თითოეული პროცედურისთვის, რომელიც გამოქვეყნებული უნდა იყოს ვებ გვერდზე.
- არჩევითი საგნებისთვის განსაზღვრულია მხოლოდ 12 კრედიტი (3.3%). ეს პროცენტი შესაძლოა გაიზარდოს.
- გააფართოვეთ და გააკეთეთ „რეალური პაციენტების“ ფონდი, რათა უზრუნველყოთ სტუდენტი-პაციენტის საკმარისი კონტაქტი. დაწერეთ ეს კონცეპცია კურსის სხვა კლინიკურ საგნებშიც/მოდულებშიც.
- მიაქციეთ ყურადღება, რამდენად დამაკმაყოფილებელია თითოეულ კურსზე/საგანზე აფილირებული მასწავლებლების რაოდენობა.
- კურიკულუმის კომიტეტში არის სტუდენტი წევრი, რომელიც არ არის არჩეული. ის პირდაპირ დეკანის მიერ ინიშნება. განიხილეთ სხვადასხვა კომიტეტებში სტუდენტების პერიოდული არჩევნების სისტემა, მათი დანიშნის ნაცვლად.
- პროფესიული რეზიუმეები (CV) უნდა განახლდეს პერიოდულად, სავარაუდოდ, ყოველწლიურად, აკადემიური საქმიანობის რეგულარული შეფასების მიხედვით.
- პერსონალის ხელშეკრულებები უნდა მოიცავდეს უფრო მეტ ინფორმაციას და გაწერილი უნდა იყოს ვალდებულებები.
- გაარკვიეთ, იყენებს თუ არა მედიცინის სხვა პროგრამა იგივე საშუალებებს კლინიკური სწავლებისთვის და გაითვალისწინეთ შედეგები იმ კომპეტენციების ხარისხთან მიმართებით, რაც სტუდენტმა უნდა მიიღოს.
- კურსდამთავრებულთა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, განიხილეთ ბაზრის ანალიზის ხარისხი და კონცენტრირება მოახდინეთ შესაძლო გადაჭრის გზებზე.
- იმის გათვალისწინებით, რომ განზრახული გაქვთ სასწავლო უნივერსიტეტი გადააკეთოთ სასწავლო და კვლევით უნივერსიტეტად, არსებული შემოსავლების დიდი ნაწილი უნდა გადამისამართდეს კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, მათ შორის, ახალი აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული კადრების მოსაზიდად.
- მოახდინეთ არაფორმალური ხარისხის უზრუნველყოფის გარე შემფასებელთა შესაძლებლობის იდენტიფიცირება, დამსაქმებელთა ჩართვით, რათა მიიღოთ რჩევები ჯანდაცვის პროვაიდერების საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებისათვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- უცხოელებისთვის, მიღების ბარიერი/წინაპირობები, მათ შორის, მოთხოვნები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე.
- „რეალური პაციენტის კონცეპცია“, რომელიც გულისხმობს ფასიან პაციენტებს სხვადასხვა, ძირითადად, ქრონიკული დაავადებებით, სტუდენტთა „პაციენტთან კომუნიკაციისა და გასინჯვის“ უნარების გასაუმჯობესებლად.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მიზანია მედიცინის კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც აცნობიერებენ ექიმის როლს საზოგადოებაში და იღებენ მნიშვნელოვან კომპეტენციებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის მიზანი თავსებადია თსა-ს მთავარ მიზანთან, "ჩამოყალიბოს დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნება, მეცნიერული მსჯელობის და გონივრული დასკვნის გამოტანის უნარი სტუდენტებში, რათა ხელი შეუწყოს მათ ფორმირებას მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად". იგი ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ კარგად ჩამოყალიბებულ კომპეტენციებზე, რაც საჭიროა კლინიკური პრაქტიკისა და პროფესიული უნარების უწყვეტი განვითარებისათვის. აგრეთვე, პროგრამის მიზნები ჰარმონიულად შეესაბამება აკადემიის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. ○ თსა-ს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები (2019-2025), რომელიც მოიცავს 6 ძირითად სფეროს. ყოველი სფერო, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის გაფართოებას. აკადემიამ შექმნა კურიკულუმის კომიტეტი, რომელიც შეიუმუშავებს მომავალ სამუშაო გეგმებს და აღწერს იმ აქტივობების საფუძვრებს, რაც საჭიროა მოცემული პროგრამის რეალიზებისთვის. გამოყოფილია, ასევე, პირი, რომელიც პასუხისმგებელია თითოეულ აქტივობაზე (იხილეთ დანართი 1.3). ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასების მიხედვით, თსა აყალიბებს პროგრამის მიზნებს: <ul style="list-style-type: none"> • დაავადების მთავარი მექანიზმებისა და მკურნალობის სწავლება სტუდენტებისათვის; • კლინიკური მსჯელობის სწავლება; • პაციენტთა მოვლისთვის საჭირო კლინიკური უნარების გამომუშავება სტუდენტებისთვის; • სტუდენტების გაძლიერება პროფესიონალიზმით; • სტუდენტთა აღჭურვა ეფექტური კომუნიკაციის უნარებით; • ძირითადი პრინციპებისა და ჯანდაცვის სისტემების ორგანიზების სწავლება ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადების პრევენციის თვალსაზრისით; • „სოციალური აგენტების" აღზრდა, რომელთაც ექნებათ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. <p>პროგრამის მიზნები ნათელია, რეალისტური, მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის,</p>

უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომლის განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად სტუდენტებში. თუმცა, მიზნები მომზადდა საერთაშორისო გამოცდილებაზე (დანართი 1.6. CanMed) დაყრდნობით და მცირედით განსხვავდება ეროვნული სამიზნე ნიშნულისგან.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - მისია და სტრატეგიული გეგმა
 - დანართი 1.1.- ავტორიზაციის ვიზიტის რეკომენდაციები 2019
 - დანართი 2- კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობა
 - დანართი 1.3- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2022;
 - დანართი 1.4.- დამსაქმებელთა გამოკითხვა დანართი 1.5- მიზნების და შედეგების ურთიერთმიმართება
 - დანართი 1.6- სწავლის შედეგების შეფასების რუქა
 - დანართი 1.7- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები;
 - დანართი 1.8- სწავლის შედეგების შეფასება (სამიზნე ნიშნულები)
 - დანართი 1.9- კურიკულუმის რუქა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეადგინეთ დეტალური რუქა სპირალური კურიკულუმის შემდგომი 6 წლისთვის შეფასებითურთ, ან სტუდენტისა და ფაკულტეტის ურთიერთგაგების კონსტრუქციული შესაბამისობის გაუმჯობესებაში დახმარების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება:**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის შედეგები არის მკაფიო და მისანიჭებელი ხარისხის დონის შესაბამისი და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სწავლის დასაწყისიდანვე ცოდნის შექმნას კლინიკური რელევანტურობისა და კონტექსტის გათვალისწინებით. იმის გამო, რომ სასწავლო კურსების უმეტესი ნაწილი მოიცავს რამდენიმე სწავლის შედეგს, მათი შეფასებისთვის ხორციელდება მრავალკომპონენტური შეფასების სისტემა, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს.
- შეფასების მეთოდები (იხ. დანართი 1.6 როგორც, განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეესაბამება საქართველოს ეროვნულ მოთხოვნას და მოიცავს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორცაა MCQ, CBCR, MiniCEX, PDP, რეფლექცია, OSPE და OSCE და შემთხვევების პრეზენტაციებს, გაწვრთნილი სიმულაციური პაციენტებისა და მანეკენების სათანადო გამოყენებით, და ა.შ. დეტალური აღრიცხვის დოკუმენტები აჩვენებს შესაბამის კონსტრუქციულ შესაბამისობას სასწავლო გეგმასა და შეფასებებს შორის.
- აკადემიური პერსონალი დატრენინგებულია ვალიდური და საიმედო შეფასების ჩამოყალიბებაში და შეფასების განხორციელებაში თანმიმდევრული სტანდარტით. თსა-ს კურსდამთავრებულს გააჩნია ყველა საჭირო კომპეტენცია, რაც აუცილებელია განათლების შემდგომი საფეხურისთვის-რეზიდენტურისთვის (ასპირანტურის კლინიკური ტრენინგი) ან დოქტორანტურისთვის.
- კვლევის ანალიზის საფუძველზე, კურიკულუმის კომიტეტი ევროპელი პარტნიორების უშუალო მონაწილეობით (გრონინგენის უნივერსიტეტი - ნიდერლანდები, ანტვერპენის უნივერსიტეტი - ბელგია, ჩარიტ სამედიცინო უნივერსიტეტი - გერმანია) იღებს გადაწყვეტილებას, დაამტკიცოს საერთაშორისოდ აღიარებული CanMEDs კომპეტენციის ჩარჩო. ამასთან, CanMED-ის საფუძველზე ჩამოყალიბებული ეროვნული სამიზნე ნიშნული, შექმნილი კომპეტენციების რიცხვით განსხვავდება ჩარჩო დოკუმენტისგან. თუმცა დაწესებულებას აქვს დოკუმენტი, რომელიც ზუსტ შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან.
- თსა-ს ჩამოყალიბებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2022 პროგრამის განვითარებისთვის, სადაც გაწერილია ყველა ნაბიჯი (ტრენინგი, ვორქშოპი, შეხვედრა და ა.შ. დანართი 1.3), ყველა პროცესი, რაც დაკავშირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადებასთან პასუხისმგებელი პირის მითითებით.
- თსა-სგან მიღებული დოკუმენტების მიხედვით, სწავლის შედეგები შეფასდება პირდაპირი (სტუდენტის აკადემიური მოსწრების პერიოდული მონიტორინგი, დანართი 1.8) და არაპირდაპირი (სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პერიოდული გამოკითხვა) მეთოდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 1.5- მიზნების და შედეგების მიმართება

დანართი 1.6- სწავლის შედეგების შეფასების რუქა

დანართი 1.7- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები

დანართი 1.8- სწავლის შედეგების შეფასება (სამიზნე ნიშნულები)

დანართი 1.9- კურიკულუმის რუქა

დანართი 01 - მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის შეფასება სტანდარტულია, მაგრამ ზოგიერთი საგნისთვის მათზე მორგებული შეფასება უფრო რელევანტური იქნებოდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. საქართველოს მოქალაქე სტუდენტები ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით. მოწოდებული მონაცემები ცხადყოფს, რომ დიდი მოთხოვნაა თსა-ს ქართულენოვან სამედიცინო პროგრამაზე (პირველი წლის სტუდენტები/აბიტურიენტები 2015-43/682; 2016-43/835; 2017-44/795; 2018-44/581; 2019-55/714), როცა ინგლისურენოვან მედიცინის პროგრამაზე მიღებულ იქნა აბიტურიენტების უმრავლესობა (პირველი წლის სტუდენტები/აბიტურიენტები 2015-30/53; 2016-100/105; 2017-195/242; 2018-89/101; 2019-104/140). გაუგებარია, რატომ მიიღება ინგლისურენოვან პროგრამაზე აპლიკანტების უმრავლესობა, და აპლიკანტების 10%-ზე ნაკლები ქართულენოვან პროგრამაზე.
- უცხოელებისთვის ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B 2 დონე) დაშვების წინაპირობაა მინიმალური ბარიერით. ასევე, შესაძლებელია ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმება სკაიპ-ინტერვიუს საშუალებით. არსებობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სერთიფიკატების ფლობის შესახებ მოთხოვნა (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა), როგორც მისაღები წინაპირობების ნაწილი, მინიმალური ბარიერის გადასალახად.
- კარგი რეგულაცია სტუდენტების პროგრამიდან გადასაყვანად, სადაც განსაზღვრულია კომპეტენციის ბარიერი.
- სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგია წარმოდგენილია. სტუდენტთა მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლების ხარისხთან, ამგვარად, სტუდენტთა კონტინგენტის ზომა უნდა შეესაბამებოდეს მის შესაძლებლობას პროგრამის ყველა ეტაპზე (WFME, BME სტანდარტები).
- დაწესებულებას აქვს სყიდენტების რაოდენობის გაზრდის გეგმა. (2019-2020 წლებში 174 სტუდენტი, 2020-2021 წლებში 195 სტუდენტი (გაზრდა 12%-ით), ხოლო 2026-2027 წლებში სტუდენტების რაოდენობა იქნება 1188, რაც იქნება 69%-ით ზრდა არსებულ სიტუაციასთან მიმართებით. აღნიშნული არის შეუსაბამოა არსებულ დასაქმების დაბალ მაჩვენებლთან და დასაქმებულთა მაჩვენებელთან კავლიფიკაციის შეუსაბამოდ ბოლო 5 წლის მანძილზე. თვითშეფასების თანახმად კუსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის 80% ბოლო 5 წლის მანძილზე.

იხილეთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცხრილი

	2014	2015	2016	2017	2018
კვალიფიკაციით დასაქმებული	48.1	66.7	65.0	75.8	70.6
განუსაზღვრელი	11.1	22.2	5.0	9.1	0.0
კვალიფიკაციის გარეშე დასაქმებული	18.5	11.1	30.0	3.0	17.6
არადასაქმებული	18.5	0.0	10.0	12.1	11.8

არ არის აღწერილი, წელიწადში რამდენჯერ ხდება მიღების პროცედურის ორგანიზება. არ არის გაწერილი მიღების პროცედურის ვადები ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი განათლების - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურეთან და ადმინისტრაციასთან

<ul style="list-style-type: none"> ○ ვებ-საიტი ○ დანართი 2.3.- სასწავლო პროცესის მართვის პროცედურა ○ დანართი 2სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება ○ დანართი 2.1- პროგრამის აღწერა- მედიცინა (სწავლების ენა - ინგლისური);
<p>რეკომენდაციები:</p> <p>გადახედეთ გეგმას სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით როგორც დასაქმებულთა ასევე კვალიფიკაციის გარეთ დასაქმებულების მიხედვით და გაითვალისწინეთ ბაზრის კვლევის ანალიზი.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>გაითვალისწინეთ საბოლოო ვადის განსაზღვრა მიღების თითოეული პროცედურისთვის ვებ გვერდზე.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>უცხოელებისთვის, პროგრამაზე მიღების წინაპირობა, მათ შორის, მოთხოვნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე.</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, რომელიც ნაწილდება 12 სემესტრზე (30 კრედიტი ერთ სემესტრში). თითო კრედიტი უტოლდება 30 საათს, მათ შორის საკონაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამა მოიცავს სამ ფაზას- საბაზო ფაზა (სწავლის I-III წლები), კლინიკური მეცნიერებები (სწავლის IV-V წლები) და ძირითადი სპეციალიზაცია (VI წელი). ყოველი ფაზა გულისხმობს კონტაქტს რეალურ პაციენტებთან, მაგრამ ბუნდოვანია კონტაქტის რა პროცენტია დაშვებული. კლინიკური მეცნიერებებისა და ძირითადი სპეციალიზაციისთვის სათანადო უნარების</p>

(სწავლის შედეგების) მოსაპოვებლად აუცილებელია მცირე ჯგუფებში სწავლება, აგრეთვე ყოველდღიური და განმეორებითი კონტაქტი სხვადასხვა ტიპის პაციენტებთან. წერილობითი პროგრამის შინაარსი მისაღებია, მაგრამ სიღრმისეული ანალიზი მინიმუმ ერთი კლინიკური საგანის ანალიზი (ObG-მეანობა და გინეკოლოგია) პარამეტრებთან, სტუდენტების, მასწავლებელთა რაოდენობასთან და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით განხორციელდა

ინტერვიუს დროს კლინიკურ სწავლებასთან დაკავშირებით მენაობის და გინეკოლოგიის შესახებ დაისვა კითხვა. პასუხი გასცა პასუხისმგებელმა პირმა, სილაბუსის ავტორმა რომელიც უძღვება კლინიკურ სწავლებას ბოხუსას სახელობის კლინიკაში და პინეოში. ონკოლოგიის ინსტიტუტი არ იყო ნახსენები.

გაზაფხულის სემესტრი 2020 მეანობის და გინეკოლოგიის სწავლება					
VIII სემესტრი					
საგანი	პერიოდი	გამოცდის თარიღი	ლექტორი	კლინიკა	ჯგუფი
მეანობა	02.03- 24,03	26.03.	MO	IBT	IE 13 სტ
მეანობა	02.03 - 25.03	30.03.	NB+TM	IBT	IIIG 14 სტ
მეანობა	26.03- 21.04	22.04.	MO	IBT	IVE 16 სტ
მეანობა	25.04 - 20.05	23,05.	NB+TM	IBT	IG 9 სტ
მეანობა	09,05. 01,06.	02,06.	MO	IBT	IIIE 15 სტ
მეანობა	15.06.- 07.07.	08,07.	MO	IBT	IIIE 14 სტ
მეანობა	15.06 - 07.07	10,07.	NB+TM	IBT	IIIG 8 სტ
IX სემესტრი					
გინეკოლოგია	13.04.- 08.05	11.05.	TG	Pineo	IE 6 სტ
X სემესტრი					
გინეკოლოგია	28.04 - 22.05	25.05.	MG	კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი	IG 11 სტ
გინეკოლოგია	16.03 - 07.04	13.04.	MG	კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი	IIIG 12 სტ
გინეკოლოგია	22.05 - 15.06	18.06.	MG	კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი	IIIG 11 სტ

				ს ინსტიტუტი	
XII სემესტრი					
მეანობა და გინეკოლოგია	04.04.- 24.04.	27.04.	MO	IBT	IE 10 სტ
მეანობა და გინეკოლოგია	27.03 - 10.04	13.04.	TG	Pineo	IG 11 სტ
მეანობა და გინეკოლოგია	08.06 - 20.06	23.06.	TG	Pineo	IIG 11 სტ
მეანობა და გინეკოლოგია	11.05 - 25.05	28.05.	TG	Pineo	IIIG 12 სტ

როგორც ცხრილიდან ჩანს, ორივე პროგრამის სტუდენტებს ხშირად ერთსა და იმავე საგანს ასწავლიან ერთ დროის მონაკვეთში. საგნისთვის- მეანობა- „ბოკერიაში“ მხოლოდ 20 საწოლია ხელმისაწვდომი (ინფორმაცია მიღებულია გასაუბრებების დროს შესაბამისი პირის მიერ) მარტში სულ 27 სტუდენტი (13 ინგლისური და 14 ქართული პროგრამიდან) სამი კლინიკური პედაგოგით. სტუდენტების და ლექტორების თანაფარდობა ვერ იქნა დაანგარიშებული საერთო ჯამში (ორი ჯგუფი) და დივიზია სამი პედაგოგის შემადგენლობით. პროგრამები განსხვავებულია. დრო არ არის მითითებული, მაგრამ 4 მარტის ცხრილის მიხედვით დრო ორივე პროგრამისთვის ერთი და იგივეა 10-დან 13-მდე. 10-ზე მეტი სტუდენტისანი ჯგუფისათვის მხოლოდ ერთი კლინიკური პედაგოგია განსაზღვრული. როგორ არის უზრუნველყოფილი პაციენტის გვერდით სწავლება მცირე ჯგუფებში? ასევე არის ენის ბარიერი (დოკუმენტების უმეტესობა წარმოდგენილია ქართულ ენაზე, უმრავლესობა პაციენტებს და ჰოსპიტლების პერსონალს არ აქვს შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დონე). იბადება კითხვა თუ როგორ არის გათვალისწინებული მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული შედეგი „პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა“ ადეკვატურად უზრუნველყოფილი?

მეანობა ისწავლება მე-8 და შემდეგ მე-12 სემესტრებში. როგორ შეიძლება საგნების- მეანობა და გინეკოლოგია- სტუდენტები დაეუფლონ შემდეგ კლინიკურ უნარებს (მაგ., ვაგინალური და ულტაროსონგრაფიული გამოკვლევა გინეკოლოგიურ პაციენტზე) პინეოს კლინიკაში, სადაც არ არის გინეკოლოგიური მკურნალობა გათვალისწინებული? როგორ შეუძლია კურსის-გინეკოლოგიის სტუდენტს სათანადოდ გაიგოს საგანი მთელი მისი მნიშვნელობით, თუ კლინიკური სწავლება მიმდინარეობს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში მხოლოდ ოპერატიული კუთხით? რამდენი საწოლია იქ გათვალისწინებული ონკო-გინეკოლოგიისთვის და ქირურგიული გინეკოლოგიისათვის? სავსებით დასაშვებია, რომ სტუდენტებმა მათი კლინიკური კურსის ნაწილი გაატარონ იქ, მაგრამ სრული 20 დღე? ამ საგნის სწავლებაზე პასუხისმგებელი კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის პერსონალი არ არის მითითებული კურსში. ამ მაგალითებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება ყველა იმ პირმა, რომელიც პასუხისმგებელია მედიცინის პროგრამების განხორციელებაზე. ჩვენი აზრით, საქართველოში სამედიცინო სწავლების მთავარი პრობლემაა რეალურ პაციენტებთან კონტაქტის არარსებობა, რადგან კლინიკური ობიექტები შედარებით ნაკლებია მედიცინის სტუდენტების მაღალ რაოდენობასთან შედარებით.

ვინაიდან არის გეგმა რომ სტუდენტების რაოდენობა გაიზარდოს 1188 -მდე 2026-2027 წლებში, რაც ნიშნავს 59%-ით ზრდას, კლინიკური სწავლება არ არის მიღწევადი ვინაიდან 600 სტუდენტი იქნება გადანაწილებული კლინიკურ სწავლებაზე.

სტუდენტების რაოდენობის განმსაზღვრელი კომიტეტის თანახმად (დანართი 2), კლინიკური სწავლებისათვის ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა არის 11.

შესაბამისად როდესაც კლინიკურ სწავლებაზე გადანაწილება 753 სტუდენტი (ორივე პროგრამაზე) სტუდენტების რაოდენობა ჯგუფებისათვის გაიზარდა 50 პროცენტით (7-ჯერ 15 ჯგუფისათვის).

კურიკულუმს გააჩნია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრირების კარგი მახასიათებლები.

სახეზეა ადრეული კლინიკური გამოცდილების, ასევე კვლევების განხორციელება მთელი კურსის განმავლობაში. პროგრამა მოიცავს ყველა სფეროს, მათ შორის საზოგადოებრივ ჯანდაცვას, სამედიცინო ფსიქოლოგიას, ბიოეთიკას და კომუნიკაციის უნარებს.

ქართული ენის კურსი მხოლოდ პირველი სემესტრის განმავლობაში ისწავლება.

სასწავლო კურსები განაწილებულია წინაპირობების პრინციპით, სადაც ეს შესაძლებელია.

სასწავლო გეგმაში 348 კრედიტი ეძღვნება სავალდებულო კურსებს და 12 კრედიტი არჩევით კურსებს (სასწავლო გეგმის 3.3%).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი განათლების - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ადმინისტრაციასთან, პერსონალთან და სტუდენტებთან
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები
- დანართი 2.1. პროგრამის აღწერა
- რეალური პაციენტის კონცეპცია- თსა
- ცხრილები
- დანართი 1 - პროგრამის შესაბამისობის დოკუმენტი მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან.
- დანართი 2 - სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება

რეკომენდაციები:

- სტუდენტების სწავლება უნდა განხორციელდეს შესაბამის კლინიკურ გარემოში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სათანადო რაოდენობის პერსონალით, რელევანტური კომპეტენციების მისაღებად.
- სწავლებისათვის ხელმისაწვდომი პაციენტების რაოდენობა და კლინიკური პირობების ნაირსახეობა უნდა იყოს ადეკვატური სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ მოიპოვონ ყველა საჭირო კლინიკური გამოცდილება, პაციენტების სწავლების მიზნებისთვის გადამეტებულად ან ხანგრძლივად გამოყენების გარეშე.
- კლინიკური სწავლებისათვის ჯგუფების მოცულობა უნდა განისაზღვრებოდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არჩევითი საგნებისთვის განსაზღვრულია მხოლოდ 12 კრედიტი (3.3%). ეს პროცენტი შესაძლოა გაიზარდოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები თანხვედრაშია კომპეტენციათა ეროვნულ სამიზნე ნიშნულებთან (კომპეტენციების დონე განსაზღვრულია მილერის პირამიდის მიხედვით, როგორც ეს მოცემულია დანართში 2.1) კურსდამთავრებულებმა უნდა გაითავისონ ექიმის 6 როლი: კომუნიკატორი, თანამშრომელი, მმართველი, ჯანმრთელობის ადვოკატი, მკვლევარი და პროფესიონალი.
- თითოეული კურსის კრედიტების რაოდენობა შეესაბამება შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
- საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ლოგიკურია და გამომდინარეობს არსებული კვლევიდან.
- სახეზეა მკაფიო და გამჭვირვალე ცხრილი, სადაც მითითებულია საგნები, სწავლების განხორციელების ადგილი, თარიღი და დრო. აკლია ინფორმაცია სტუდენტთა ჯგუფის შესახებ.
- თუმცა, მოდულის საგნების გარდა, მხოლოდ 1 პედაგოგია მიმაგრებული საგნების უმრავლესობასთან, რაც კურსს საფრთხის ქვეშ აყენებს.
- სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ნუსხა, რაც მითითებულია სილაბუსის თითოეული საგნისთვის, რელევანტური და განახლებულია. ძირითადი ლიტერატურის სია 90 სახელმძღვანელოს მოიცავს.
- ბიბლიოთეკა ღიაა კვირაში 6 დღე, დღეში 10 საათის განმავლობაში, როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. უსადენო ინტერნეტი, რაც თსა-ს ეკუთვნის ხელმისაწვდომია ყველა შენობაში, ხელმისაწვდომი პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა დამაკმაყოფილებელია.
- რაც შეეხება სავალდებულო ლიტერატურას, დაახლოებით 4-5 წიგნი არის ხელმისაწვდომი ყოველი საგნისთვის სემესტრის განმავლობაში, რაც უდრის ერთ წიგნს სტუდენტთა ჯგუფზე.
- ელექტრონული ბაზების რიცხვი და მათზე ხელმისაწვდომობა დამაკმაყოფილებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 2.2- სილაბუსები;
- დანართი 2.1. პროგრამის აღწერა
- დანართი 1.6- სწავლის შედეგების შეფასების რუქა
- თვითშეფასების ანგარიში
- კურიკულუმის რუქა
- ვებ-საიტი
- გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიაქციეთ ყურადღება, რამდენად დამაკმაყოფილებელია თითოეულ კურსზე/საგანზე აფილირებული მასწავლებლების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამიზნე ნიშნულების მოთხოვნების გათვალისწინებით, სახეზეა სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების რელევანტური ტექნიკები, როგორც ეს აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში.
- სახეზეა ძალიან კარგად აღჭურვილი კლინიკური უნარების ცენტრი, სადაც სტუდენტს შეუძლია მისვლა ინდივიდუალური ტრენინგისთვისაც.
- პრაქტიკული უნარებისთვის გამოყოფილია 24 კრედიტი მთელი საგანმანათლებლო პროგრამის განმავლობაში, მათ შორის იგულისხმება პაციენტთან პირდაპირი კომუნიკაციაც.

- კლინიკური უნარების ცენტრში ჩამოყალიბებულია „რეალური პაციენტების ფონდი“, რომელიც მოიცავს ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებს; ისინი მოდიან თსა-ს კლინიკური უნარების ცენტრში, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება გაიარონ პრაქტიკა პაციენტებთან კომუნიკაციასა და გასინჯვის უნარებში. ამჟამად, ის შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკის ნაწილია I-II კურსებზე.
- 13.5 კრედიტი განაწილებულია სამეცნიერო-კვლევითი უნარებისთვის მთელი საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში. ზოგადი მიმოხილვიდან, როგორცაა: ლიტერატურის მოძიება, კვლევის დაგეგმვა, ლაბორატორიულ ცხოველებთან მოპყრობა, ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემთა შეგროვება, კრიტიკული აზროვნების გზით აკადემიური ნაშრომების გაანალიზებასა და წერამდე.
- მე-9 სემესტრში მათ უნდა მოამზადონ შესაბამისი მიმოხილვა-ესსე 2 გვერდი. ესესს მომზადებას ხელმძღვანელობს მენტორი, ერთ მენტორზე მიმაგრებულია ოთხი სტუდენტი, რომელსაც სტუდენტი ირჩევს თემის მიხედვით. ესესს აფასებს მენტორი და ასევე, მისი განხილვა ხდება მეცადინეობების დროს.
- მე-12 სემესტრის ბოლოს სტუდენტები აბარებენ სამეცნიერო-კვლევით პროექტს 15-20 გვერდის მოცულობით.
- სტუდენტებს, რომლებსაც უფრო ღრმა ინტერესი აქვთ, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, 2019 წელს 59 -მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა კვლევით პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 2.1- პროგრამის აღწერა- მედიცინა (სწავლების ენა - ინგლისური);
- დანართი 2.2- სილაბუსები-მედიცინა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- რეალური პაციენტის კონცეპცია
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გააფართოვეთ დაგააკეთეთ „რეალური პაციენტების“ ფონდის დივერსიფიკაცია, რომლებიც კარგად საუბრობენ ინგლისურად, რათა უზრუნველყოთ სტუდენტი-პაციენტის საკმარისი კონტაქტი.
 დანერგეთ ეს კონცეპცია კურსის სხვა კლინიკურ საგნებშიც/მოდულებშიც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

„რეალური პაციენტის კონცეპცია“ რომელიც გულისხმობს ანაზღაურებად პაციენტებს სხვადასხვა, ძირითადად, ქრონიკული დაავადებებით, სტუდენტთა „პაციენტთან კომუნიკაციისა და გასინჯვის უნარების“ გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია ორი ძირითადი მიმართულება-თეორიული და პრაქტიკული სწავლება. თეორიული სწავლება მოიცავს სიტყვიერ მეთოდებს (ინტერაქტიული ლექციები, ჯგუფური სამუშაო, სემინარები, პრაქტიკული სესიები, პოსტერისპრეზენტაციები, ხარისხის უზრუნველყოფის სესიები და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა), სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობა სახელმძღვანელოებითა და წერითი დავალებებით (ესსეები, დავალებები ღია პასუხებით, powerpoint-ის პრეზენტაციები, ლაბორატორია, სამუშაო ოქმი, პაციენტების ანგარიშები, შემთხვევების შესწავლა, სამედიცინო ჩანაწერები). პრაქტიკული მეთოდები მოიცავს ამბულატორიულ სწავლებას, მანეკინებზე დემონსტრირების მეთოდს და პაციენტთა სტანდარტიზებულ გამოკვლევას, როლურ თამაშს, ანალიზს / სინთეზს, დებატებს, მაგალითებს, ლაბორატორიულ სწავლებას, ვირტუალურ 3D მეთოდებს, გუნდურ სწავლებას, შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევაზე დაფუძნებულ კლინიკურ მსჯელობას, შემთხვევაზე დაფუძნებულ სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობას, ექიმის ასისტირებას. დაწესებულების მიერ მოწოდებულ ცხრილში განსაზღვრულია პროფესორების და სტუდენტების თანაფარდობა სწავლების სხვადასხვა მეთოდისათვის.

მეთოდი	სტუდენტითითო ინსტრუქტორი/მასწავლებელი
როლური თამაში	15 სტუდენტი (2-3 პატარა ჯგუფი)
დისკუსია	15 სტუდენტი
დებატები	სპეციალიზაცია - სამეცნიერო დებატების სტუდენტთა ჯგუფებს შორის, შესაძლოა სხვა უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვაც.
ლაბორატორიული სწავლება	10 სტუდენტი
VR /AR	დამოუკიდებელი მუშაობა 2-3 სტუდენტი
CBCR	8-10 სტუდენტი
TBL სესია	15-16 სტუდენტები გადანაწილებული სამ ჯგუფად

CBL	1-2 სტუდენტი თითო შემთხვევაზე
დემონსტრაციული მეთოდი	5-15 სტუდენტი
პაციენტის გვერდითსწავლება	5 სტუდენტი
შემთხვევაზე დაფუძნებულისწავლება	15 სტუდენტი
<p>მიუხედავად მოწოდებული ანალიზისა და გადანაწილებისა სტუდენტების და ლექტორების თანაფარდობა არ არის შესაბამისი.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წავლა სწავლების მეთოდები თითოეულ კურსში შეესაბამება სწავლების დონეს და კურსის შინაარსს. ○ როგორც გასაუბრებებიდან გაირკვა, სტუდენტებს აქვთ საშუალება გასინჯონ არა ნაკლებ ერთიდან ორ პაციენტამდე კლინიკური სწავლების პერიოდში. ○ სწავლებისა და სწავლის მეთოდები სტუდენტებზეა ორიენტირებული. ○ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. ამჟამად, სტუდენტთა 50% -ზე მეტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ძალიან მოთხოვნადია მთელი სასწავლო პროცესისთვის. ○ წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოცდის ხელახლა ჩაბარება ან ზაფხულის / ზამთრის პერიოდების ლექციებზე დასწრება ორიდან სამ კვირამდე. ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილია პედაგოგთან კომუნიკაციით და მათი მზახობით, გაუწიონ დახმარება სტუდენტებს სასწავლო აქტივობის მიღმაც. 	
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დანართი 2.1. პროგრამის აღწერა-მედიცინა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები 	
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სტუდენტი-ლექტორის თანაფარდობა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სწავლების თითოეული ტექნიკისთვის პროგრამის ყველა კურსში.</p>	
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>	
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>	
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>	
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>	

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თითოეული სასწავლო კურსის შეფასება ნათლად არის მოცემული. შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, აქედან 60 ქულა გამოყოფილია შუალედური შეფასებისთვის, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება 40 ქულით. სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს მინიმუმ 37 ქულა (60%) შუალედურ შეფასებაში, ხოლო დასკვნით გამოცდაზე - მინიმუმ 24 ქულა (60%). სტუდენტს, რომელსაც შეფასებაში აქვს 41-60 ქულა, შეუძლია მეორედ გავიდეს დასკვნით გამოცდაზე. 41 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტმა კიდევ ერთხელ უნდა გაიმეოროს სასწავლო კურსი.
- შეფასება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილი.
- სტუდენტები რეგულარულადიღებენ უკუკავშირს.
- შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი - ტესტები, ქვიზები, პრეზენტაციები, ნაშრომები, ლაბორატორი ულიმუშაობა, სიმულაციური დავალებები, OSPE, OSCE და სხვა, სადაც თითოეულ მეთოდს აქვს თავისი წილი.
- პირადი საქმისწარმოების უნარები (პორტფოლიო) არის ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს თვითრეფლექსიასა და პიროვნული განვითარების დაგეგმვას, აგრეთვე სტუდენტის ხელმძღვანელის უკუკავშირს წერილობითი სახით, რომელშიც, თავის მხრივ, ყურადღება გამახვილებულია სტუდენტის აკადემიური მოსწრების ძლიერ მხარეებზე, ასევე გასაუმჯობესებელ საკითხებზე. თბილისის სამედიცინო აკადემიაში (თსა) ფუნქციონირებს სააპელაციო კომიტეტი. 2018-2019 წლის განმავლობაში სულ შემოვიდა 322 საჩივარი, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტების მთელი რაოდენობის დაახლოებით 42%-მა დაწერა საჩივარი. როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, საჩივრები იგზავნება ძირითადად ტესტებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 2.3 სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები
- თვითშეფასებისანგარიში
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვის სებისშეფასებისადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა) უზრუნველყოფს სტუდენტთა კონსულტაციის სერვისებს, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა საკითხს, როგორცაა აკადემიური და სამეცნიერო აქტივობები, კარიერული განვითარება, სწავლის გაგრძელება და სხვ.
- აკადემიური საკონსულტაციო სამსახური ხელს უწყობს აკადემიურ აქტივობებს, აწყობს შეხვედრებს სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები მონაწილეობენ სასწავლო გეგმის შემუშავებაში კურიკულუმის კომიტეტის მეშვეობით. ისინი არ არიან წევრები, მაგრამ შეუძლიათ დოკუმენტების განხილვა და კომენტირება. ამ პროცესებში ჩართული სტუდენტები შეირჩეულია პერსონალის მიერ.
- სტუდენტების საკონსულტაციო სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სახის კონსულტაციას, როგორცაა: ადმინისტრაციული მხარდაჭერა, თანამშრომლებთან კომუნიკაცია, ემოციური და სოციალური პრობლემების მოგვარება, დოკუმენტაციის მომზადება ძირითადად სხვადასხვა სტიპენდიისთვის, სხვადასხვაგვარ სტუდენტური

<p>აქტივობების დაგეგმვა (ფორუმები, შეხვედრები და ა.შ.). სერვისის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად სპეციალური პორტალის საშუალებით ან პირისპირ.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თსა-ს აქვს სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის სერვისი, რომელიც ძირითადად ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებს სტუდენტებში სხვადასხვა საქმიანობისთვის საჭირო უნარების გასავითარებლად, ასევე, სტაჟირებასა და საგრანტო წინადადებებს. ○ სტუდენტები იღებენ მხარდაჭერას, როდესაც მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში (ეროვნულ და საერთაშორისო შეხვედრებში), სტაჟირებაში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, თსა-ს მიერ დაფინანსებულ სპორტულ ღონისძიებებში. ○ სტუდენტებს აქვთ დეტალური ინფორმაცია მატერიალური და ტექნიკური რესურსებისა და ბიბლიოთეკის შესახებ. ○ ეფექტური და სწრაფი კომუნიკაციისთვის არსებობს ელექტრონული პლატფორმა, სადაც დარეგისტრირებულია ყველა სტუდენტი და კურსი. მიმდინარე შუალედური და დასკვნითი შეფასებების შედეგები, ასევე ქვეყნდება პლატფორმაზე და სტუდენტებს შეუძლიათ თვალი ადევნონ საკუთარ ქულებსა და აკადემიურ მიღწევებს ამ ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. ○ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პირისპირ და ანონიმურად, ელექტრონული გამოკითხვების საშუალებით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს. ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ თსა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კლასგარეშე საქმიანობაში და მხარს უჭერს მათ ინიციატივებს.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ანალიზი. ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს აკადემიის მიერ მოწოდებული დაფინანსების ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტი და ბრძანებები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>კურიკულუმის კომიტეტში არის სტუდენტი წევრი, რომელიც არ არის არჩეული. ის პირდაპირ დეკანის მიერ ინიშნება. განიხილეთ სხვადასხვა კომიტეტში სტუდენტების პერიოდული არჩევის სისტემა, მათი დანიშვნის ნაცვლად.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომხილვა და ანალიზი

- თსა-ში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი და უწყვეტი პროფესიული განვითარების დეპარტამენტი. თსა-ს ასევე შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აკადემიური პერსონალის პროგრამაში ჩართულობის აღწერა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და თსა-ს შინაგანაწესთან. ამასთან, კონტრაქტები ზოგადი ხასიათისაა და არაა ნათლად აღნიშნული თანამშრომლების მოვალეობები.
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას ახორციელებს 49 აკადემიური და 88 მოწვეული პედაგოგიური პერსონალი (თანაფარდობა 1.0:1.8). პროფესიული რეზიუმეების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება ამ თანამდებობებისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საჭიროებების დასადგენად გამოიყენება სრული განაკვეთის ექვივალენტი. ზემოაღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის ერთ წევრს შეუძლია უხელმძღვანელოს მოწვეული პერსონალის 3 წევრს. ამასთან, ბევრ პროფესიულ რეზიუმეში არაა ნათქვამი თბილისის სამედიცინო აკადემიასთან აფილირების შესახებ, ბევრი რეზიუმე კი განახლებას საჭიროებს. უფრო მეტიც, არ არის განსაზღვრული წყობა, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს ასახული. ამრიგად, ამ დოკუმენტებში ორიენტაცია დროს მოითხოვს. ინგლისურენოვანი ვერსია წინ უსწრებს ქართულენოვანს.
- თანამშრომლები, რომლებთანაც ფორმდება მუდმივი კონტრაქტები, შეირჩევიან მათი სწავლისა და სწავლების გამოცდილების შესაბამისად. თსა პერსონალი კომპეტენციებს ინგლისურ ენაში ადასტურებს სერტიფიკატით და/ან ინგლისური ენის სწავლების მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილებით.
- ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმებისა და შერჩევის მთელი სისტემა ნათლად არის ჩამოყალიბებული (დანართი 4.1, 4.2).
- თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნდა 188 სტატია, რაც ნიშნავს წელიწადში საშუალოდ 37 სტატიას 49 აკადემიურ თანამშრომელზე ან პერსონალის მთელ 137 წევრზე. თსა-სთვის ნაშრომების მიკუთვნების საკითხი არაა გამოკვლეული. ღრმად დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, 2019 წელს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა მიიღო 59 სტუდენტმა და ბოლო 5 წლის განმავლობაში სულ ჩატარდა 42 კვლევითი პროექტი.

- აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს სამ მნიშვნელოვან კომპონენტს: საგანმანათლებლო საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მომსახურების მიწოდება (რამდენიმე მუდმივი ადმინისტრაციული ფუნქციის ერთობლიობა, სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევა, საგანმანათლებლო პროგრამისა და ინდივიდუალური სასწავლო კურსების განხორციელებისთვის შესაბამისი ლოგისტიკური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა, სხვადასხვა საბჭოს, კომისიისა და კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობა, საერთაშორისო ურთიერთობების გადრმავება).
- სამუშაო დრო შეიძლება იყოს ნახევარი განაკვეთის ან სრული განაკვეთის. სრული განაკვეთი მოიცავს კვირაში 40 საათს 44 კვირის განმავლობაში, რაც მთლიანობაში შეადგენს 1760 საათს. მოპოვებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო საქმიანობაში, კვლევასა და მომსახურებაში ჩართულობის აღწერილობა 2019 წლისთვის. ჩატარდა ამ მონაცემების ანალიზი. 2019 წელს თსა-ში 136 თანამშრომლიდან (აკადემიური + მოწვეული) მხოლოდ 13 (9%) მუშაობდა სრულ განაკვეთზე, ხუთის (3%) დატვირთვა იყო 0.5 სრული განაკვეთის ექვივალენტზე (FTE) მეტი. 78 (55%) თანამშრომლის დატვირთვა იყო 0.1-დან 0.5-მდე სრული განაკვეთის ექვივალენტი (FTE), ხოლო 46-ის (33%) დატვირთვა - 0.1 სრული განაკვეთის ექვივალენტზე (FTE) ნაკლები, რაც ნიშნავს კვირაში 4 საათზე ნაკლებს. 2019 წლისთვის, მთლიანი სრული განაკვეთის ექვივალენტიდან (FTE), რაც შეადგენდა 59.69-ს, 6.62 (11%) დაეთმო კვლევას, 34.55 (58%) - ადმინისტრირებას, ხოლო 18.51 (31%) - სწავლებას.
- 2019 წელს პერსონალის (N = 136) სამუშაო დატვირთვა ყველა საქმიანობაში - განათლება, კვლევა და ადმინისტრირება - იყო დღეში 3.5 საათი.
- პერსონალის 18% ასევე ასწავლის დიპლომირებული მედიკოსის სხვა პროგრამებში. არ არის ხელმისაწვდომი სხვაგან (ჯანდაცვის სამსახურები, კვლევითი ინსტიტუტები, სააგენტოები და ა.შ.) სამუშაო დატვირთვის საერთო მონაცემები.
- 4.2-ის თანახმად, ასოცირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია 2-3 წელიწადში ერთხელ უხელმძღვანელოს სტუდენტების სამეცნიერო მუშაობას. თითოეულმა სტუდენტმა უნდა დაწეროს მინიმუმ 2 გვერდიანი კვლევითი პროექტი (მე-2 სემესტრში) და 15-20 გვერდი ან ესსე (მე-12 სემესტრში). თითო ხელმძღვანელზე მიმაგრებულია ოთხი სტუდენტი; კვლევითი პროექტის შეფასება შუალედური შეფასების ნაწილია. მეორე კვლევას აფასებს სამეცნიერო-კვლევითი კომიტეტი (8 წევრი), რომელიც ერთი ესსეს შეფასებას უთმობს 2-4 საათს. ეს გულისხმობს, რომ სამეცნიერო-კვლევითი კომიტეტის წევრები წელიწადში დაახლოებით 120 ესსეს (ქართულენოვანი + გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების ინგლისურენოვანი პროგრამები) შეფასებას 240-480 სამუშაო საათს უთმობენ ინდივიდუალურ შეფასებას და განსაზღვრულია დამატებით 2 სამუშაო დღე სადაც ერთობლივად არის განხილული სამეცნიერო ნაშრომები და ხდება საბოლოო შეფასება.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სტუდენტთა რიცხვთან თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია აღწერილია მეორესტანდარტის 2.5 კომპონენტში. სილაბუსებში მრავალი საგნის სწავლებისთვის დანიშნულია პერსონალის მხოლოდ ერთი წევრი (ასოცირებული ან მოწვეული) შემცველის გარეშე. ინტერვიუს დროს რეზერვში არსებული პედაგოგიური პერსონალი აღინიშნა, როგორც უკიდურესი დამხმარე საშუალება. დაწესებულებამ წარმოადგინა ცხრილი სავარუდო ჩამნაცვლებლების მითითებით (დანართი 4).
- 2019 წლის სასწავლო დატვირთვის ანალიზი: ქართულენოვან პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა ამჟამინდელი რაოდენობაა 220, ინგლისურენოვანზე კი - 533. რადგანაც ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩაბარება წელიწადში ორჯერ ხდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთდროულად არსებობს სამი კურსი და თითოეულზე

სწავლობს 220, 265 და 265 სტუდენტი. ცხრილის მიხედვით, ერთ სემესტრში ერთდროულად ტარდებასულ 18 სხვადასხვა პროგრამა. დაახლოებით 36 სტუდენტი სწავლობს ქართულენოვან პროგრამაზე, ხოლო 44 სტუდენტი - ორივე ინგლისურენოვან პროგრამაზე. 2019 წელს სწავლებისთვის დათმობილი მთლიანი სრული განაკვეთის ექვივალენტი (FTE) არის 18.51, რაც შეადგენს 148 სასწავლო საათს დღეში სამივე პროგრამისთვის. ერთი პროგრამისთვის ეს არის სწავლების დაახლოებით 50 საკონტაქტო საათი დღეში. თითოეული პროგრამისთვის არსებობს ექვსი სხვადასხვა ცხრილი (პირველიდან მე-6 კურსამდე), რაც ნიშნავს დაახლოებით 8 საკონტაქტო საათს ყოველდღიურად 36, 44 და 44 სტუდენტისთვის, შესაბამისად. დავუშვათ, რომ 40% ეთმობა ლექციებს (მაგ., 3 სასწავლო საათი ყოველდღე, სადაც სტუდენტები ერთად არიან). მაშინ, ყოველდღიურად, გვრჩება მხოლოდ 5 საკონტაქტო საათი სხვა სასწავლო აქტივობისთვის, სადაც ძირითადი საგნების სწავლებისას სტუდენტები იყოფიან შედარებით მცირე ჯგუფებად (მაგ. 15), და ჯგუფებად - მაგ. პაციენტის საწოლთან სწავლებისას (მაქსიმუმ 5 სტუდენტი/1 მასწავლებელზე). აღინიშნა, რომ კლინიკური სწავლების დროს გამოიყენება სხვა პერსონალიც (მაგ., რეზიდენტები). ეს არ იძლევა განათლების ხარისხის გარანტიას, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის, რადგან დეპარტამენტებში ყველა დოკუმენტი მხოლოდ ქართულადაა ხელმისაწვდომი, ხოლო პაციენტების უმეტესობისა და საავადმყოფოს პერსონალის სასაუბრო ინგლისური მწირია. ამრიგად, პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია ჩანს სტუდენტთა ამჟამინდელ რიცხვთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ის სრულიად არ შეესაბამება იმ გეგმას, რომ გაიზარდოს დიპლომირებული მედიკოსი სინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა და საბოლოოდ, ორივე პროგრამისთვის, მთლიანობაში შეადგინოს დაახლოებით 200 სტუდენტი ყოველწლიურად. ის ასევე არ შეესაბამება „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ახალი სამაგისტრო პროგრამისა და „სამედიცინო მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. 2019 წელს 217 სტუდენტი ჩაირიცხა კლინიკურ ფაზაზე, 536 სტუდენტი მონაწილეობს კლინიკურ ფაზაში ორივე პროგრამაზე. აღნიშნული ციფრი მიუთითებს რომ იქნება კიდევ უფრო დიდი მოთხოვნა კლინიკურ ნაწილზე რაც მოითხოვს სწავლებას პატარა ჯგუფებში და საკმარისი რაოდენობის შესაფერის პაციენტებს.

- აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ აკადემიური პერსონალი არ არის საკმარისი. შესაბამისად გეგმა სტუდენტების რაოდენობი სგაზრდისა არ არის რელევანტური რაც 200 სტუდენტს გულისხმობს სყოველ წელს.
- ადმინისტრაციული პერსონალის ანალიზი: მოწოდებულ დოკუმენტში ჩამოთვლილია 42 ადმინისტრაციული თანამშრომელი, მათგან თორმეტი აკადემიკოსია. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია. ადმინისტრაციული პერსონალი ყოველთვის იღებს ფიქსირებულ ხელფასს. ამასთან, თსა-ში არის მხოლოდ 30 თანამშრომელი მთლიანად ადმინისტრაციული ფუნქციებით. ადმინისტრაციული პერსონალი საერთოდ არ არის კლინიკებში, რაც იმას ნიშნავს, რომ კლინიკის მასწავლებლებს თავად უწევთ ადმინისტრაციულ საქმეებთან გამკლავება. ინტერვიუების დროს განიხილულ იქნა, რომ კლინიკურ სწავლებაში რაიმე ცვლილების შემთხვევაში, მაგ. ავადმყოფობის ან გადაუდებელი ოპერაციის გამო, მასწავლებელმა უნდა დაურეკოს ყველა სტუდენტს, ან გაუგზავნოს მათ შეტყობინებები. იგივე ხდება დავალებაზე დაფუძნებული სწავლებისთვის (TBL) მასალების დაბეჭდვის შემთხვევაში და ა.შ. ყოველივე ეს საკმაოდ დროს მოითხოვს და შეიძლება მარტივად მოგვარდეს ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. უფრო მეტიც, მოწვეული პერსონალი ანაზღაურებას იღებს

<p>მხოლოდ საკონტაქტო საათებისთვის, შედეგად, ის ყველა სხვა საქმეს (მომზადება, ბეჭდვა და ა.შ.) უფასოდ ასრულებს.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის ხელმძღვანელი ძლიერ გამოცდილია და პირადად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, სწავლებასა და შეფასებაში.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დანართი 4.1 პერსონალის ვაკანსიები მართვა ○ დანართი 4.2 აკადემიური პერსონალის ასოცირებისა და სამუშაოდატვირთვის პროცედურები, წესი და პირობები ○ თსა-სსტუდენტთამხარდაჭერისპერსონალისსია ○ მოწვეულიპერსონალისსწავლებისდატვირთვათსა-ში (გაზაფხულისსემესტრი 2020) ○ 2020 წლის გაზაფხულის სემესტრი - განრიგი ○ აკადემიურიპერსონალისდატვირთვასწავლების, კვლევისადაადმინისტრირებისსფეროში (2020 წლისგაზაფხულისსემესტრი) ○ თსა-სპერსონალის (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული) სამუშაოდატვირთვისგამოთვლა 2019 წლისთვის ○ დანართი 04 - პერსონალის განაწილება საგნების მიხედვით
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გაზარდეთ ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით. ○ მხოლოდ ის სამეცნიერო შრომები და დოკუმენტები უნდა იყოს მიღებული მხედველობაში რომელის შესრულებულია თსა - ს სახელით ○ გაითვალისწინეთ კავშირი აკადემიური პერსონალის დატვირთვასა და სტუდენტების რაოდენობას შორის. ○ სტუდენტებისა და მასწავლებლის განსაზღვრული თანაფარდობის მიხედვით, მკაცრად შეინარჩუნეთ სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობასწავლების თითოეული ტექნიკისთვის.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროფესიული რეზიუმეები (CV) უნდა განახლდეს პერიოდულად, სავარაუდოდ, ყოველწლიურად, აკადემიური საქმიანობის რეგულარული შეფასების მიხედვით. ○ აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებებში უნდა იყოს მეტი აღწერილობა სადაც განსაზღვრული იქნება ვალდებულებები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p>

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თსა-ს აქვს პერსონალის გადამზადებისა და განვითარების სპეციალური დეპარტამენტი (უწყვეტი პროფესიული განვითარების დეპარტამენტი), სადაც ჩამოყალიბებულია საორიენტაციო/ტრენინგის გეგმა როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისთვის. განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია ახალ პერსონალზე.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ გამოკითხვებს პერსონალის შესაძლო პრობლემების აღმოსაჩენად.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პერსონალის სწავლების შეფასებას და ყოველწლიურად აფასებს პერსონალის კვლევით საქმიანობას. პერსონალი, მათი საშემსრულებლო აქტივობის მიხედვით, რანჟირებულია 3 კატეგორიად და შეიძლება დაჯილდოვდეს. ასევე შემუშავებულია პერსონალის ინდივიდუალური განვითარების გეგმები.
- სამედიცინო განათლების პერსონალის ტრენინგი რეგულარულად ხორციელდება წერილობითი უკუკავშირის საშუალებით.
- ინტერვიუების დროს განხილული იქნას სხვადასხვა სახის სწავლების ტექნიკა და შეფასებები. თსა-პერსონალი კარგად არის გადამზადებული და ორიენტირებულია სწავლების ახალი ტექნიკის დანერგვაზე.
- თსა ასევე ცდილობს ხელი შეუწყოს კვლევებს თანამშრომლებისა და სტუდენტების წახალისების საშუალებით (მაგ. შიდა გრანტები გამოცემებისთვის, პროექტის განაცხადის მოსამზადებელი ეტაპის მხარდაჭერა).
- თსა მხარს უჭერს საერთაშორისო თანამშრომლობასა და მობილობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1.7 - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა 2019-2021

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ვიზიტის დროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) გუნდს ჩაუტარეს ტური ქეთევან წამებულის გამზ. 51/2 ნომერში მდებარე შენობაში. გუნდმა დაათვალიერა პრეკლინიკური სწავლების სასწავლო ცენტრების უმეტესობა - მაგ. ლექციების დარბაზი, ანატომიკური, ძირითადად ანატომიისა და პათოლოგიის სწავლებისთვის, ორი ოთახი, რომელიც აღჭურვილია მიკროსკოპებით (თითო ოთახი 12 მიკროსკოპით, ერთ მიკროსკოპს იყენებს ორი სტუდენტი) ჰისტოლოგიისა და მიკრობიოლოგიისათვის, კლინიკური უნარების კეთილმოწყობილი ცენტრი, რომელიც ასევე გამოიყენება OSPE / OSCE-სთვის, თანამედროვე საგამოცდო ცენტრი 70 ლეპტოპით. შენობაში ასევე არის ორი მცირე ლაბორატორია სტუდენტური კვლევისთვის საჭირო ძირითადი აღჭურვილობით. ბიბლიოთეკის რესურსები - როგორც სამკითხველო დარბაზები, ასევე კომპიუტერული საკლასო ოთახები - აღჭურვილია სათანადო პროგრამებით. რაც შეეხება ბიბლიოთეკასა და სასწავლო რესურსებს, ამ მასალის დიდი ნაწილი დისტანციურად ხელმისაწვდომია ინტერნეტით სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. ბიბლიოთეკის მენეჯმენტი თანამშრომლობ საკადემიურ პერსონალთან ბიბლიოთეკის მარაგისა და მონაცემთა ბაზების მიმოხილვასთან დაკავშირებით (მაგ., სკოპუსი, ელესვიერი, ჰინარი, საიენს დაირექტი, კოქრანი). სამედიცინო ჟურნალები ძირითადად ხელმისაწვდომია ინტერნეტში მონაცემთა ბაზების საშუალებით (NEJM, კემბრიჯის ინტერნეტ-ჟურნალები) და ა.შ. ბიბლიოთეკა სტუდენტებს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას არსებული რესურსების წესებისა და შესაძლებლობების შესახებ. თსა-ს

ბიბლიოთეკა თანამშრომლობს 3 სხვა ბიბლიოთეკასთან, მათ შორის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან.

- თსა-ს არ აქვს საკუთარი კლინიკური დაწესებულება. ყველა კლინიკური სწავლება ხორციელდება კონტრაქტის საფუძველზე. ამჟამად, გაფორმებულია კონტრაქტები ჯანდაცვის 36 დაწესებულებასთან, სადაც "75 სასწავლო კურსი ტარდება პედაგოგიური პერსონალის 75 წარმომადგენლის მიერ". ორი კონტრაქტი უვადოა, დანარჩენ 34 შემთხვევაში ხელშეკრულების ხანგრძლივობა 1-დან 6 წლამდე მერყეობს და, ძირითადად, ავტომატურ გახანგრძლივებას გულისხმობს.
- არ არის ნათლად მოცემული ინფორმაცია დიპლომირებული მედიკოსის სხვა პროგრამების შესახებ, რომლებშიც კლინიკური სწავლებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს იგივე სამედიცინო ობიექტები/აჭურვილობა. არ არის ინფორმაცია საწოლებისა და პაციენტების რაოდენობის, დაკავებული საწოლების მაჩვენებლის სტუდენტთა რაოდენობასთან შეფარდების შესახებ.
- ინტერვიუების დროს, კლინიკური სწავლების მაგალითის სახით, გაიმართა დისკუსია მენობისა და გინეკოლოგიის შესახებ. ამ საგნის სწავლება სამსაავადმყოფოში ხორციელდება - ბოკერიაში (საწოლების რაოდენობა - 20 (სამეანო), 10 (გინეკოლოგია) + ნეონატოლოგია + NICU) და პინეოში (20 საწოლი მხოლოდ გინეკოლოგიისთვის) და ონკოლოგიის ინსტიტუტში (არ არის ცნობილი საწოლების რაოდენობა გინეკოლოგიისათვის. სავარაუდოდ 10) სულ 60 საწოლი დაკავების უცნობი მაჩვენებლით. „ბოკერიას“ გამოიყენებს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (იგივე კლინიკისთვის) იმავე საგნის სწავლებისთვის, პინეო კი უკვე გამოიყენებ ათსსუ-ს მიერ, თუმცა არ არის ცნობილი ონკოლოგიის ინსტიტუტი თანამშრომლობს თუ არა სხვა უნივერსიტეტიელების მედიცინის პროგრამებთან მიმართებით საგანი ისწავლება მე-8 სემესტრში - 20 დღე, დღეში 4 საათის განმავლობაში (8x პაციენტის საწოლთან სწავლება (აქედან ორჯერ განიხილება კლინიკური შემთხვევები), 9x კლინიკური შემთხვევის განხილვა, 2x დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (TBL), 2x სიმულირებულ პაციენტთან და მანეკენთან მუშაობა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში) მე-12 სემესტრში - 15 დღე, დღეში 4 საათის განმავლობაში (6x პაციენტის საწოლთან სწავლება, 5x კლინიკური შემთხვევის განხილვა, 2x დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (TBL). სამუშაო ჯგუფების ზომა მერყეობს 5-დან 15 სტუდენტამდე, ხოლო პაციენტის საწოლთან სწავლებას ესწრება მაქსიმუმ 5 სტუდენტი. იგივე პედაგოგები ასწავლიან დიპლომირებული მედიკოსის როგორც ქართულენოვან (2 ასოცირებული + 2 მოწვეული), ასევე ინგლისურენოვან (მხოლოდ 2 ასოცირებული) პროგრამას. როგორც 5 მარტის გრაფიკიდან ჩანს (თანდართული), ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ტარდება „ბოკერიას საავადმყოფოს“ ერთსა და იმავე განყოფილებაში ერთსა და იმავე დროს (10 საათიდან 13 საათამდე). ქართულენოვან პროგრამას ატარებს ორი მოწვეული თანამშრომელი, ხოლო ინგლისურენოვანს - ერთი ასოცირებული ასისტენტი. სტუდენტების არცერთი ჯგუფის ზომა არ არის აღნიშნული, სავარაუდოდ ეს შეიძლება იყოს 5+5-დან 15+15 სტუდენტამდე. ეს ნამდვილად არაა მიზანშეწონილი, ძალიან ბევრი სასწავლებლის ბევრი სტუდენტი სწავლობს ერთსა და იმავე დაწესებულებებში და ეს არ უზრუნველყოფს კლინიკურის წავლების ხარისხს. კლინიკური დაწესებულებების დათვალიერება ვერ მოხერხდა COVID 19-ის კარანტინის გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუები
- კლინიკური უნარების ცენტრი
- სასწავლო ლაბორატორიები
- კლინიკების სია, რომელშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების ხანგრძლივობა
- ბიბლიოთეკა წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე;
- ბიბლიოთეკის წიგნების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;

რეკომენდაციები:

- განიხილეთ კლინიკური სწავლების ხარისხი და შეაფასეთ კლინიკური საგნები სტუდენტების, ხელმისაწვდომი პედაგოგებისა და არსებული პაციენტების რაოდენობის მხრივ, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ კლინიკურ მომზადებაში.
- ხელმეორედ შეაფასეთ კლინიკური სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გაარკვიეთ, იყენებს თუ არა დიპლომირებული მედიკოსის სხვა პროგრამა იგივე საშუალებებს კლინიკური სწავლებისთვის და გაითვალისწინეთ შედეგები იმ კომპეტენციების ხარისხთან მიმართებით, რაც სტუდენტმა უნდა მიიღოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თსა არის კერძო უნივერსიტეტი და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დაფინანსების ძირითადი წყაროა სტუდენტური გადასახადი.
- ასევე მოქმედებს როგორც სახელმწიფო, ისე კვლევითი ფონდების გრანტები, რომლებიც შეადგენს ფინანსური რესურსების დაახლოებით 5%-ს.
- ექსპერტთა ჯგუფისთვის რთული იყო იმი სდადგენა, თუ რამდენად არის ეკონომიკურად შესაძლებელი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ბიუჯეტით ფაკულტეტის ძირითადი საქმიანობის განხორციელება, როგორც ეს გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმებში. როგორცთსა-ს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტიდან ჩანს, დაახლოებით 30% იხარჯება ხელფასებზე (აკადემიური, ადმინისტრაციული ან მოწვეული პერსონალის), შემოსავლის მხოლოდ 5% მიდის სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაზე.
- წარმოდგენილი ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისთვის, როგორცაა: თანხები პოპილარიზაციის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, ფინანსური ჯილდოსთვის, კვლევის განვითარებისთვის, ინტერნაციონალიზაცია, აგრეთვე აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა მგზავრობის ხარჯებს, სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა, კურსდამთავრებულთა პროგრამა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ღონისძიებები, სასწავლო რესურსები (ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, კლინიკური უნარების ცენტრი და ა.შ.), და ელექტრონული რესურსები (tma.ini.ge) და ა.შ.
- თსა-ს ბიუჯეტი მოიცავს ორივე საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლაში (ქართულენოვანი მედიცინა; ინგლისურენოვანი მედიცინა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ბიუჯეტი
- დანართი 4.11 - ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

იმის გათვალისწინებით, რომ განზრახული გაქვთ სასწავლო უნივერსიტეტი გადააკეთოთ სასწავლო და კვლევით უნივერსიტეტად, არსებული შემოსავლების დიდი ნაწილი უნდა მიმართოთ კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, მათში ორის, ახალი აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული კადრების მოსაზიდად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წარმოდგენილი პროგრამის ხარისხი და მისი განხორციელება აკადემიის საგანმანათლებლო მისიის ერთ – ერთი მთავარი მიზანია და, შესაბამისად, დიდ მნიშვნელობა ენიჭება პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას უწყვეტი გაუმჯობესების ფილოსოფიის უზრუნველყოფაში. ○ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სასწავლო პერსონალს სტიმულს აძლევს და ავალდებულებს, რომ ჩაერთონ ყოველწლიური თვითშეფასების დაგეგმვაში, მონიტორინგსა და შეფასებებში და ასევე მოუწოდებს მიიღონ და პასუხი გასცენ სტუდენტთა უკუკავშირის მათი მიღწევების შესახებ. ○ აღსანიშნავია, რომ თსა-ში ხარისხის კულტურის გავრცელება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ხარისხის პრინციპების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პედაგოგიური პერსონალის მიერ. ○ სტუდენტების მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფაში არ შემოიფარგლება

<p>მხოლოდ უკუკავშირითა და ინფორმაციის მიწოდებით. ისინი მონაწილეობენ ინტერვიუებში, თვითშეფასების ანგარიშების მომზადებაში, აკადემიის მენეჯმენტში და მენეჯმენტის (წევრობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში) კომიტეტებში.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის უზრუნველყოფის ყველა პროცესის დოკუმენტაცია არის ყოვლისმომცველი და მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისთვის, სპეციფიკური მოქმედებებს პრობლემების იდენტიფიცირებისა და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციისთვის საჭირო ინფორმაციას; ○ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემყარება სასწავლო გეგმის სხვადასხვა ასპექტის შეფასებას, სწავლის შედეგებს, სწავლისა და სწავლების სტრატეგიებს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, სტუდენტთა შეფასების სისტემას, აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხარისხს, სტუდენტურ კვლევას და სხვ. ხარისხის შეფასების მეთოდოლოგია ემყარება სიტუაციურ ანალიზს ხარისხის შეფასების მიზნის, ხარისხის ინდიკატორების, შესრულებული სამუშაოსა და მტკიცებულებების შესაბამისად. ○ თსა-მ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი თვითშეფასების ანგარიშის შესამუშავებლად, რომელიც აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობას ეროვნული სამიზნე ნიშნულის ინდიკატორებთან. ○ როგორც უკვე აღვნიშნეთ, თსა განსაზღვრავს მიმართულებებს, რომლებშიც საჭიროა გაუმჯობესება და აყალიბებს 2020-2021 წლების განვითარების სამოქმედო გეგმას. ○ თვითშეფასების მიხედვით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია 80%, ხოლო მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი კი მხოლოდ - 70%. ○ თსა კურსდამთავრებულებს ეხმარება სამუშაოს პოვნაში სწავლის დამთავრებიდან პირველი წლის განმავლობაში და ფინანსური კონტრიბუცია შეაქვს იმ კურსდამთავრებულთა ხელფასში, რომლებმაც არ დაიწყეს სარეზიდენტო პროგრამა.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ დანართი 1.3 ○ გასაუბრებების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>კურსდამთავრებულთა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, განიხილეთ ბაზრის ანალიზის ხარისხი და კონცენტრირება მოახდინეთ შესაძლო გადაწყვეტილებებზე.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბოლოს, ხარისხის გარე შემოწმება ჩატარდა ცენტრის მიერ 2012 წელს, როდესაც პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია. აკრედიტაციის პროცესში ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო სასწავლო გეგმის რუკის შემუშავება და დახვეწა, რომელიც დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად იქნა განხილული თსა-სმიერ.
- გარდა აკრედიტაციის პროცესისა, საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში, ინსტიტუტმა მიიღო ორი გარე შეფასება „ქარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტის“ (ბერლინი, გერმანია) წარმომადგენლებისგან ორი ძირითადი შედეგით. პირველი იყო შუალედური შეფასება, სადაც გაანალიზდა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლის შედეგები მთელი პროგრამის განმავლობაში, სასწავლო გეგმა და მათი კავშირი შედეგებთან; მეორე შეფასებაში შეფასდა სილაბუსი, რომელიც თავის მხრივ გადაიხედა და ჩამოყალიბდა განახლებული სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შესაბამისად.
- ყოველი შეფასების შემდეგ თსა იღებს ოფიციალურ დასკვნას, რომელიც განიხილეს კურიკულუმის კომიტეტის წევრებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანაგრაიში
- TM, Georgia-ს მედიცინის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი რედორმის შესახებ დოკუმენტის განვილვა
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

განსაზღვრეთ შესაძლებლობები ხარისხის არაფორმალური გარე უზრუნველყოფის შემფასებლებისთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის, რათა მათ შეძლონ პროგრამის განვითარებისთვის წინადადებების შემუშავება სამედიცინო პროვაიდერების საჭიროებების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის ყოველწლიური მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, ასევე კომიტეტებისა და საბჭოების აქტიური მონაწილეობით სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მენეჯმენტისა და მართვის პროცესებში.
- პროგრამები პირდაპირ ფასდება შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით: სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და სემესტრის სრული აკუმულირება (მიღებული კრედიტების შესაბამისად).
- დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან უკუკავშირის "ხარისხის" უზრუნველსაყოფად, თსა ატარებს გამოკითხვებს და აანალიზებს მათ პერიოდულად კომპეტენციების და კარიერული წინსვლის დასადგენად.
- თსა ასევე იწვევს დამსაქმებლებს მონაწილეობა მიიღონ ლექციებსა და სემინარებში რეალური სიტუაციების განსახილველად; ის ქმნის კარგ წინაპირობებს მათი მონაწილეობისთვის და ხარისხის უკუკავშირისთვის პროგრამის შემუშავების პროცესში.
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ასევე მუდმივად ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილებისა და მოლოდინების კვლევების საფუძველზე.
- სასწავლებელში თანამშრომლების მიერ ხორციელდება კოლეგიალური განხილვის სწავლების პროცესი, რომელიც მოიცავს უკუკავშირს.
- კურიკულუმის კომიტეტმა განიხილა ზემოთმოცემული ანგარიში მის შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად და, ორმხრივი განხილვის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება ხელმძღვანელობის განხორციელების შესაძლო გზებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანაგრაიში
- დანართი 1.7 - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

„მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები დამათთანპროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვის შესაფასებელი სადეკლარაციო		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსები თუზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ივანა ობორნა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ია ფანცულაია

ელენე ხურციძე